

შპს პაბლისის მედია

2020 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

	შენიშვნები	GEL 2020	GEL 2019
შემოსავლები მომსახურებიდან	4	4,447,792	3,678,063
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების თვითღირებულება	5	(3,386,375)	(3,383,775)
კომერციული ხარჯი		0	0
ადმინისტრაციული ხარჯი	6	(99,688)	(158,019)
		—	—
მოგება/ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან		961,729	136,269
		—	—
საპროცენტო შემოსავალი/ხარჯი	7	22,477	84,723
სხვა არასაოპერაციო მოგება/ზარალი		169,177	(6,873)
		—	—
მოგება/ზარალი მოგების გადასახადამდე		1,153,383	214,120
მოგების გადასახადი		(313)	(6,445)
		—	—
პერიოდის მოგება/ზარალი		1,153,070	207,675
გაუნაწილებელი მოგება/ დაუფარავი ზარალი წლის დასაწყისში		1,399,141	1,493,829
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში დივიდენდი	8	(0)	(302,363)
		0	0
გაუნაწილებელი მოგება/ დაუფარავი ზარალი წლის ბოლოს		2,552,211	1,399,141

შპს პაბლოსის მედია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრისთვის

		GEL შენიშვნები 12/31/2020	GEL 12/31/2019	GEL 12/31/2018
აქტივები				
მიმდინარე აქტივები				
სალარო		0	0	0
ბანკი		184,639	733	243,458
დებიტორები	9	3,508,207	2,215,754	1,766,677
გაცემული ავანსები		25,132	17,500	2,738
გაცემული სესხები	10	260,638	531,320	913,406
სხვა მიმდინარე აქტივები	11	203,483	208,079	250,773
		—	—	—
სულმიმდინარე აქტივები		4,182,099	2,973,386	3,177,051
		—	—	—
მარგები				
	12	26,805	26,720	25,445
		—	—	—
სულმარგები		26,805	26,720	25,445
		—	—	—
გრძელვადიანი აქტივები				
შენიშნა-ნაგებობა		0	0	0
ავეჯი	13	3,770	4,768	4,629
მოწყობილობა და სხვა ძირ. საშუალება	13	3,172	4,891	3,543
კომპიუტერული ტექნიკა, აუდიო და ვიდეო	13	6,212	7,408	9,104
აპარატურა				
არამატერიალური აქტივი	14	166	195	230
გრძელვადიანი ინვესტიციები		0	0	0
		—	—	—
სულგრძელვადიანი აქტივები		13,320	17,262	17,507
		—	—	—
სულ აქტივები		4,222,225	3,017,368	3,220,003
		—	—	—
ვალდებულებები და კაპიტალი				
მიმდინარე ვალდებულებები				
კრედიტორები	15	1,632,115	1,537,790	1,429,259
მიღებული ავანსები		0	0	0
გადასახდელი ხელფასი		0	0	0
მოკლევადიანი სესხები	16	0	29,500	161,041
გადასახდელი გადასახადები		37,812	15,046	121,993
სესხის პროცენტი	17	87	35,890	13,881
		—	—	—
სულმიმდინარე ვალდებულებები		1,670,013	1,618,226	1,726,174
		—	—	—
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულება ლიზინგის		0	0	0
გადავადებული გადასახადი		X	X	X
		—	—	—

	0	0	0
	—	—	—
კაპიტალი და რეზერვები			
საწესდებო კაპიტალი	X	X	X
გასანაწილებელი მოგება	2,552,211	1,399,141	1,493,829
კაპიტალის სხვა კომპონენტი	X	X	X
	—	—	—
სულკაპიტალ და რეზერვები	2,552,211	1,399,141	1,493,829
	—	—	—
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	4,222,225	3,017,368	3,220,003

შპს პაბლოსის მედია

2020 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	2020	2019
საოპერაციო საქმიანობა		
მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები	4,028,624	4,213,554
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	(3,718,728)	(4,399,498)
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი	4,710	(1,022)
გადასახადებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(295,678)	(375,888)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	18,929	(562,855)
გადახდილი მოგების გადასახადი	(313)	(6,445)
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	18,616	(569,299)
საინვესტიციო საქმიანობა		
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისთვის	(2,374)	(6,446)
ფულადი სახსრების გასვლა გაცემული სესხებიდან	(350,790)	(314,300)
ფულადი სახსრების შემოსვლა გაცემული სესხების დაბრუნებიდან	527,500	839,948
იპოთეკით დატვირთული სესხის გაცემა	-	-
ფულადი სახსრების შემოსვლა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან	-	-
ფულადი სახსრების შემოსვლა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ბიოლოგიური აქტივების გაყიდვიდან	-	-
მიღებული პროცენტი	56,657	-
მიღებული დივიდენდები	-	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	230,993	519,202
საფინანსო საქმიანობა		
ფულადი სახსრების შემოსვლა კაპიტალის განადგებიდან	-	-

ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან		
საკუთრების გადაცემის პირობის მქონე იჯაროდან წარმოქმნილი ვალდებულებების გადახდა	72,940	21,500
სესხის ძირის გადახდა		
სესხის პროცენტის გადახდა	(102,343)	(188,812)
დოვიდენდების გადახდა	(36,301)	(25,316)
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(65,703)	(192,628)
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის განმავლობაში	183,906	(242,725)
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	733	243,458
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	184,639	733

შპს პაბლისის მედია

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2020 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს პაბლისის მედია შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართი არის თბილისი, გორგასლის 97, ხოლო ფაქტობრივი მისამართი - პეტრიაშვილის 23. მისი ძირითადი საქმიანობაა სარეკლამო და მარკეტინგული საქმიანობა, კერძოდ სატელევიზიო, რადიო, ბეჭდვით და ციფრული რეკლამის წარმოება, მედიაში განთავსება და მონიტორინგი, გარე რეკლამის წარმოება და ბილბორდებზე, სატრანსპორტო საშუალებებზე და მონიტორებზე განთავსება, კლიენტებისთვის მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება, კრეატიული და სადიზაინერო მომსახურება, ვიდეო, აუდიო და ციფრული რგოლების წარმოება, ასევე ღონისძიებების და პრომოაქციების ორგანიზება.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ეროვნულ ენაში (ლარებში)

ამონაგების აღიარება

კომპანიის მომსახურება ხორციელდება მოკლევადიანი პროექტების სახით და ამონაგები მომსახურების რეალიზაციიდან აღიარდება პროექტის დასრულებისთანავე შესაბამის საანგარიშგებო თვეში. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოადგენს მომდინარე საანგარიშგებო პერიოდის ხარჯს, და გამოიანგარიშება ყოველთვიურად განაწილებული მოგების და მასთან გათანაბრებული განაცემების და ხარჯების 15% იანი განაკვეთით (“ესტონური მოდელი”).

დაბეგვრის საგადასახადო და სააღრიცხვო ბაზების დროებითი სხვაობებით განპირობებული მოგების გადასახადი აღიარებულია აქტივად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

კომპანიის ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია სარეკლამო მოწყობილობებით, კომპიუტერული და ციფრული ტექნიკით, საოფისე ავეჯით

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება ერთიანი სასარგებლო მომსახურების ვადა 5 წელი და ნულოვანი ნარჩენი ღირებულება.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოდოლინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი

გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება „საშუალო შეწონილის“ მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

3. იჯარა

ოფისის იჯარა წარმოადგენს მოკლევადიან იჯარას და მასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები ანგარიშგებაში აისახება ხარჯის სახით, იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

4. შემოსავლები მომსახურებიდან	2020	2019
შემოსავლები სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურებიდან	4,447,792	3,678,063
	4,447,792	3,678,063
5. სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების თვითღირებულება	2020	2019
სარეკლამო მასალების ღირებულება	29,075	111,865
სატელევიზიო განთავსების ხარჯი	1,707,000	1,308,521
რადიო განთავსების ხარჯი	1,708	37,244
ციფრული განთავსების ხარჯი	892,474	457,099
ბეჭდვით მადიაში განთავსების ხარჯი	0	14,065
რეკლამის გარე განთავსების ხარჯი	65,139	204,888
ხელფასები	292,760	517,100
პრომო პერსონალის და სხვა ფიზიკური პირების მომსახურება	20,391	221,441
სხვადასხვა გარე საწარმოს მომსახურება	378,328	511,552
	3,386,375	3,383,775
6. ადმინისტრაციული ხარჯი	2020	2019
ოფისის იჯარა	44,068	105,085
საოფისე, საკანცელარიო, კომპიუტერული მასალა	821	1,904
კომუნიკაციის ხარჯი	4,441	1,758

პერსონალის ჯანმრთელობის დაზღვევა	20,258	10,551
მივლინების ხარჯი	120	4,772
ცვეთა და ამორტიზაცია	6,315	6,691
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	23,665	27,258
	99,688	158,019

7. საპროცენტო შემოსავალი/ხარჯი	2020	2019
საპროცენტო შემოსავალი	22,974	98,966
საპროცენტო ხარჯი	-497	-14,243
	22,477	84,723

9. დებიტორები	2020	2019
სატელევიზიო რეკლამის გათავსების დავალიანება	2,816,722	1,752,068
ციფრული რეკლამის მიწოდების დავალიანება	234,487	338,452
გარე რეკლამის დავალიანება	408,288	100,744
სხვა დებიტორები	48,710	24,490
	3,508,207	2,215,754

10. გაცემული სესხები	2020	2019
----------------------	------	------

სესხების ძირითადი თანხების ნაშთი	0	237,000
სესხების მისაღები პროცენტების ნაშთი	260,638	294,320
	260,638	531,320

11. სხვა მიმდინარე აქტივები	2020	2019
ფიზიკურ პირზე გაცემული იპოთეკური სესხი	149,994	149,994
ფიზიკურ პირზე გაცემული იპოთეკური სესხის პროცენტი	26,999	26,999
ფიზიკურ პირზე გაცემული იპოთეკური სესხზე დარიცხული მოგების გადასახადის აქტივი	26,470	26,470
სხვადასხვა მიმდინარე აქტივი	20	4,616
	203,483	208,079

2018 წლის 26 იანვარს კომპანიას ფიზიკურ პირზე გაცემული აქვს უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხი 149 994 ლარის ოდენობით, რომელზეც ერიცხება თვეში 3% პროცენტიანი სარგებელი. ხელშეკრულების პირობების თანხამად სესხის გადაუხდელობის შემთხვევაში (რასაც ჰქონდა ადგილი) კომპანიას უფლება აქვს მოითხოვოს იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის (80.16 კვ.მ საცხოვრებელი ფართი) გადაცემა მის საკუთრებაში.

მოგების გადასახადის აქტივად აღიარებულია ფიზიკურ პირზე გადახდილი თანხის შესაბამისი მოგების გადასახადი.

12. სასაქონლო-მატერიალური მარაგები წარმოადგენს სარეკლამო აქციების ჩასატარებლად განკუთვნილ სხვადასხვა მცირეფასიან სარეკლამო ინვენტარს და პრომოფორმებს.

13. ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	ავეჯი	კომპიუტერული ტექნიკა, აუდიო და ვიდეო აპარატურა	სარეკლამო მოწყობილობა და სხვა	ჯამი
01.01.2020	30,772	45,475	17,545	93,792
შემოსვლა	813	1,560		2,373
გასვლა				
31.12.2020	31,585	47,035	17,545	96,165

აკუმულირებული ამორტიზაცია	ავეჯი	კომპიუტერული ტექნიკა, აუდიო და ვიდეო აპარატურა	სარეკლამო მოწყობილობა და სხვა	ჯამი
01.01.2020	26,004	38,067	12,654	76,725
2020 წლის ამორტიზაციის დარიცხვა	1,812	2,756	1,719	6,287
31.12.2020	27,816	40,823	14,373	83,012

საბალანსო ღირებულება 31.12.2020	3,769	6,212	3,172	13,153
------------------------------------	-------	-------	-------	--------

14. არამატერიალური აქტივი

თვითღირებულება	არამატერიალური აქტივი
01.01.2020	2,971
შემოსვლა	
გასვლა	
31.12.2020	2,971

აკუმულირებული ამორტიზაცია	არამატერიალური აქტივი
01.01.2020	2,775
2020 წლის ამორტიზაცია და გაუფასურება (ჩართულია ადმინისტრაციულ ხარჯებში)	29
გასული აქტივების დაგროვილი ამორტიზაცია	
31.12.2020	2,804

15. კრედიტორები

2020

2019

სატელევიზიო კომპანიების დავალიანება

1,271,533

755,117

რეკლამის გარე განთავსების მომწოდებლების
დავალიანება

7,627

36,890

ციფრული რეკლამის მომწოდებლების დავალიანება

233,839

650,299

რეიტინგების მომწოდებელი კომპანიების დავალიანება

13,653

31,391

სხვა კრედიტორები

105,463

64,093

1,632,115

1,537,790

16. მოკლევადიანი სესხები

2020

2019

სხვადასხვა არასაფინანსო საწარმოებებიდან მიღებული
სესხი

0

29,500

0

29,500

17. მოკლევადიანი სესხების პროცენტები

2020

2019

სხვადასხვა არასაფინანსო საწარმოებიდან მიღებული
სესხი

87

35,890

87

35,890

კომპანიას აქვს სხვადასხვა არაფინანსური საწარმოებიდან 1 წლის ვადით აღებული სესხები, უზრუნველყოფის გარეშე, გადაუხდელ ნაშთზე დასარიცხი 14 % -იანი საპროცენტო განაკვეთით. წინსწრებით დაფარვისთვის სანქცია არ არის გათვალისწინებული.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა დაამტკიცა ფინანსური ანგარიშგება და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2021 წლის 25 სექტემბერს

დირექტორი

ირინა საკ

